



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 915

თბილისი

06-08-2012 წ.

2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების” მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “მ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი განცხადების ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს 2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).



ნატია დეკანოიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს, ქალბატონ ხატია დეკანოიძეს

მოქალაქე
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

.....
(პირადი ნომერი) (აბიტურიენტის საიდენტიფიკაციო კოდი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

.....წელს ჩავირიცხე
(მიუთითეთ ჩარიცხვის წელი)

(უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი)

მივეკუთვნები საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის №300
დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას:

.....
(მიუთითეთ კატეგორია/კატეგორიები)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში
სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით.

დანართი: ფურცელი.

შენიშვნა: განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება
განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
.....
.....

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი
ტელეფონი მობილური

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და
ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას.

განმცხადებლის ხელმოწერა განცხადების შევსების თარიღი.....

2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, აქედან:

- ა) მესტიის მუნიციპალიტეტში;
- ბ) ლენტეხის მუნიციპალიტეტში;
- გ) ონის მუნიციპალიტეტში;
- დ) ქედის მუნიციპალიტეტში;
- ე) ხულოს მუნიციპალიტეტში;
- ვ) შუახევის მუნიციპალიტეტში;
- ზ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში;
- თ) დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მღეთის, მღაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში);
- ი) ადიგენის მუნიციპალიტეტში;
- კ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში;
- ლ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;
- მ) წალკის მუნიციპალიტეტში;
- ნ) დმანისის მუნიციპალიტეტში;
- ო) ახმეტის მუნიციპალიტეტში (პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში);
- პ) ასპინძის მუნიციპალიტეტში

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- 1.1. განცხადება;
- 1.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 1.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ან სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- 2.1. განცხადება;
- 2.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 2.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 2.4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ, სწავლების ენის მითითებით.

3. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევეში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ან 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევეში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- 3.1. განცხადება;
- 3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 3.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 3.4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ, ან ცნობა 2008 წლის 7 აგვისტომდე შესაბამის სკოლაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ.

4. სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- 4.1. განცხადება;
- 4.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 4.3. დაბადების მოწმობის ასლი;
- 4.4. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;
- 4.5. მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები.

შენიშვნა: სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, ჩარიცხულნი არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული

გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის 2011-2012, 2010-2011, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, უნდა წარმოადგინონ ასევე ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

5. სტუდენტებმა, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

5.1. განცხადება;

5.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

5.3. ცნობა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან პირის სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტაციის შესახებ;

5.4. ამ მუხლის 5.3. პუნქტით გათვალისწინებული პირის შთამომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. სტუდენტებმა, რომლებიც არიან ობოლნი (უდედმამო), სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

6.1. განცხადება;

6.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

6.3. დაბადების მოწმობის ასლი;

6.4. მშობლების გარდაცვალების მოწმობების ასლები ან სხვა დოკუმენტი (მაგ., სასამართლო გადაწყვეტილება), რომლითაც დასტურდება რომ პირს არ ჰყავს მშობლები.

7. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

7.1. განცხადება;

7.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

7.3. განმცხადებლის და მისი და-მშობის დაბადების მოწმობების ასლები.

8. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

8.1. განცხადება;

8.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

8.3. მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა (ფორმა №IV-50/4).

შენიშვნა: სტუდენტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ჩარიცხულნი არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის 2011-2012, 2010-2011, 2009-2010, 2008-2009, 2007-2008 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, უნდა წარმოადგინონ ასევე ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

9. სტუდენტებმა, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

9.1. განცხადება;

9.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

9.3. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

10. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

10.1. განცხადება;

10.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

10.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

11. სტუდენტებმა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

11.1. განცხადება;

11.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

11.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სსიპ - სოციალური მოსახურების სააგანტო) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

12. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- 12.1. განცხადება;
- 12.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 12.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- 12.4. ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამის სკოლაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ, ან ცნობა 2008 წლის 7 აგვისტომდე შესაბამის სკოლაში ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ.

13. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში 2012 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- 13.1. განცხადება;
- 13.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- 13.3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

შენიშვნა:

1. ამ დანართის მე-12 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, ერთ კვირის ვადაში დაადგენს სტუდენტის შესაბამისობას "2012-2013 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 ივლისის №300 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ სტუდენტთა სიას წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. ამ დანართის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტები ასევე, უფლებამოსილი არიან განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგინონ შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში – საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში – საგანმანათლებლო რესურსცენტრი) 2012 წლის პირველი ოქტომბრის ჩათვლით. საგანმანათლებლო რესურსცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამი დღის ვადაში წარუდგენს სტუდენტთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას.